პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 201 (9868) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან








ახალი „ექსპონატები" შეემატა ჩემპიონთა ხეივანს თბილისში. ტრადიციისამებრ ყველა, ვინც ქართულ საბჭოთა სპორტს სახელს გაუთქვამს საერთაშორისო ასპარეზზე, აქ ახალ ხეებს რგავს. ამჯერად ეს საპატიო უფლება მოიპოვეს ოლიმპიადა-88-ის ჩემპიონებმა, რომლებმაც თავიანთი ნერგები ამოუყენეს გვერდში უფროს თაობათა სპორტსმენების მიერ დარგულ მუხებს.

სპორტული დიდების ხეივანი, რომელიც ერთი წლის წინათ გაშენდა დიღმის ტყე-პარკში, 18 ოქტომბერს განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო. სპორტის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ ჩემპიონებს, მიეღოთ სანუკვარი ავტოგრაფი.

...დავით გობეჯიშვილმა, რომელიც სოფლად გაიზარდა, თავისუფალ ჭიდაობის ილეთების გარდა მიწაზე მუშაობაც იცის. მან ბარი მოიმარჯვა და პატარა ხე მებაღეობის ყველა წესის შესაბამისად დარგო, მერე გარშემო ნიადაგი მოუსწორა. გვერდით, მისი მაგალითისამებრ სათუთად რგავენ პატარა მუხებს ფეხბურთელი გელა კეტაშვილი, მოფარიკავე ვლადიმერ აფციაური, ტანმოვარჯიშე ვლადიმერ გოგოლაძე.

მათ ამჯერად მხარს ვერ უმშვენებს ოლიმპიადა-88-ის მეხუთე ქართველი გამარჯვებული ნინო სალუქვაძე. იგი მიუნხენშია, სადაც მონაწილეობს ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასის გათამაშებაში. თბილისში როცა დაბრუნდება ნინოც მოვა აქ და უსათუოდ დარგავს თავის ხეს. დღეს კი ეს პატივი წილად ხვდა კიდევ ერთ შესანიშნავ სპორტსმენს, რომელმაც სეულში ბრინჯაოს მედალი მოიგო — მორბენალ მაია აზარაშვილს.

— დიდი პატივია ხე დარგო აქ, ისეთი შესანიშნავი ადამიანების შემდეგ, როგორებიც არიან ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანეევი, მზია ჯუღელი, ზურაბ საკანდელიძე, გივი კარტოზია და უფროსი თაობის სხვა სახელგანთქმული სპორტსმენები, — ამბობს დავით გობეჯიშვილი. — ამ ხეივნის ზრდა იმის მანიშნებელი იქნება, რომ ქართული სპორტი ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს.

...შემოდგომის ოქროსფერ ფოთლებში ალისფერი მიხაკები გამოერია — ეს თბილისის სკოლების მოსწავლეებმა, ნორჩმა სპორტსმენებმა ყვავილები მიართვეს ოლიმპიელებს: ვინ იცის, იქნებ რამდენიმე წლის მერე მათაც მოუწიოთ თავიანთი ხეების დარგვა ჩემპიონთა ხეივანში.

(საქინფორმი).

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ზევით — მაია აზარაშვილი, ვლადიმერ აფციაური დავით გობეჯიშვილი და გელა კეტაშვილი დიღმის ტყე-პარკში; ქვევით — ვლადიმერ გოგოლაძემ თავისი ხე დარგო.

ფელიქს კრიმსკის ფოტოები.

# მაღალ ჯილდოს გილოცავთ, ოლიმპიელებო!

**საქართველოს სსრ** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, საკავშირო, საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებზე და XXIV ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული წარმატებებისთვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვა XXIV ოლიმპიურ ასპარეზობათა მონაწილენი და მათი მწვრთნელები: **მაია გოგის ასული აზარაშვილი** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი;

**სერგო არშალუის ძე აპრესიანი** — ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელი ფეხბურთში;

**ვლადიმერ სტეფანეს ძე აფციაური** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქტორი;

**ჰენს ალექსანდრეს ძე ბურჯანაძე** — ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის უფროსი მწვრთნელი;

**მალხაზ დავითის ძე გაბუნია** — ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელი ფარიკაობაში;

**გურამ ირაკლის ძე გედეხაური** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი;

**მიხეილ რეზოს ძე გიორგაძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი;

**დავით ნიკოლოზის ძე გობეჯიშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი;

**ვლადიმერ ომარის ძე გოგოლაძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი;

**იური მუზაკირის ძე გუტიაკულოვი** — სპორტის საწყლოსნო სახეობების უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის უფროსი მწვრთნელი წყალში ხტომაში;

**გიორგი ნაზირის ძე თენაძე** — გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტი;

**ვახტანგ ერმალის ძე იაგორაშვილი** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქტორი;

**თამაზ ზურაბის ძე იმნაიშვილი** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქტორი;

**თეიმურაზ ირაკლის ძე კაკულია** — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ჩოგბურთის სპორტული სკოლის დირექტორი;

**არნოლდ შალვას ძე კვეტენაძე** — ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი;

**გელა გიორგის ძე კეტაშვილი** — თბილისის „დინამოს" გუნდის ფეხბურთელი;

**ზურაბ გიორგის ძე კორიხაშვილი** — პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მწვრთნელი ძიუდოში;

**ივანე ივანეს ძე ლუცენკო** — უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი თანამედროვე ხუთჭიდში;

**ზურა დავითის ძე მაისურაძე** — უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში;

**ნატალია ვლადიმერის ასული მაშუკი** — სპორტის საწყლოსნო სახეობების უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის უფროსი მწვრთნელი სინქრონულ ცურვაში;

**ზურაბ გიორგის ძე მაჩხანელი** — ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი სასტენდო სროლაში;

**ვლადიმერ შალვას ძე მესტვირიშვილი** — ჭიდაობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის უფროსი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში;

**ლეილა გიორგის ასული მესხი** — თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი;

**ივანე ნიკოლოზის ძე ნიკოლაძე** — ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების" უფროსი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში;

**ტარიელ ვარდენის ძე ქლენტი** — უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის უფროსი მწვრთნელი სასტენდო სროლაში;

**თამაზ ნესტორის ძე რეხვიაშვილი** — პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელი;

**გურამ რევაზის ძე სადარაძე** — ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში;

**ვახტანგ მოსეს ძე სალუქვაძე** — უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი სასტენდო სროლაში;

**ნინო ვახტანგის ასული სალუქვაძე** — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი;

**ამირან მიხეილის ძე ტოტიკაშვილი** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქტორი;

**ხრისტინა რომუალდის ასული ფალახინიდი** — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი;

**ანზორ გიორგის ძე ქიბროწაშვილი** — გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე;

**გიორგი ანატოლის ძე ჩოგოვაძე** — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი;

**ირაკლი დავითის ძე ჩხიკვაძე** — ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს წყალბურთის ოსტატთა გუნდის უფროსი მწვრთნელი;

**შოთა დიმიტრის ძე ხაბარელი** — საქართველოს ძიუდოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი;

**ლერი გაბრიელის ძე ხაბელოვი** — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ინსტრუქტორი.

## ქართველი ამორძალი

ნინო სალუქვაძეს, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონს და თასის მფლობელს.

მტერს რომ ზღაპარი ეგონა —
ქალი ხმლითა და ფიალით.
ნახეთ, ქართველი გოგონა
რა დროშასავით ფრიალებს.

მტერს რომ ხუმრობა ეგონა
წავკისელი და წყნეთელი,
ნახეთ, ქართველი გოგონა
ციხეა გაუტეხელი.

ეს განა მარტო ჯიბრია,
ანდა უბრალო თამაში.
ქართველი ქალის ფიქრი და
მისი სული ჩანს ამაშიც.

მამულო ნუ გეშინია,
არაგვო ნუ გეფიქრება.
დღეს კარგი ქალიშვილია,
ხვალ კარგი დედა იქნება.

იცის, აკვნებით გადარჩა
სამშობლოს მთა და ხერები.
დატენილია დამბაჩა
იმ ცხრა ძმის დედის ცრემლებით.

არ ავიწყდება წარსული,
ისპაჰანის თუ ანკარის;
და ქეთევანის ჯალათებს
ახლა უსწორებს ანგარიშს.

განა დენთით და საფანტით
დატენილია ტყვიები: —
ჰარამხანებში ქართველი
ქალების შურისძიებით.

და აჯენს ტყვიას-ტყვიაში,
მამულის გამოსაჩენად.
შემდეგ მედლებად მიაქვს წინ,
მტრების მოჭრილი მარჯვენა.

მესახელება ძალიან,
ვარ ამაყი და თამამი.
პირველი ამორძალია
სისხლი და გენი თამარის.

და შენ, ვინც ვაზი აკაფე,
ვინც მილეწავდი ციხის კარს,
ეს სულ ერთია რას გარქმევ —
თემურ-ლენგსა და ჩინგის ხანს.

ვინც მაშინ კალოს უბანში,
ბავშვების აკვნებს ლეწავდი.
ვისაც ცეცხლით და მახვილით
თბილისს მოთხრა გეწადა,

ვინც საპატარძლო ქალწულებს
კაბებად ღამე ჩააცვი
და მათი ღიმილ-სიცილი
ცრემლების ტბაში ჩაახრჩვე,

ბოლოს ესეც არ აკმარე,
და სამშობლოდან აჰყარე,
საქართველოს მზე წაართვი
და ჩადრი ჩამოაფარე,

ვინც წყევლად შემოგინახა
(მართლაც წყეულო ათასგზის)
ეს სულ ერთია ვინა ხარ —
მურვან ყრუ
თუ შაჰ-აბაზი.

მტერო ხომ დედა გეტირა,
ხომ გულზე გადაგიარა
ცალ ხელში პისტოლეტით და
ცალ ხელში სავსე ფიალით.

ნოდარ ჯალაღონია.

## დღეს საზეიმო შეხვედრაა

**დღეს, 19 საათზე,** თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა შეხვედრას უწყობს სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ მოწვეული სტუმრებიც. გაიმართება დიდი სპორტულ-კულტურული სანახაობა.

## პირველი საფეხური — წარმატებით

**იუნიორ** მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი კიევში ტრადიციული შეჯიბრებაა. ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებმა გამოიყენეს ხელსაყრელი შემთხვევა და იგი იუნიორთა მსოფლიო პირველობის ერთ-ერთ შესარჩევ ეტაპად აქციეს. ამ მკაცრი გამოცდის პირველი საფეხური წარმატებით გაიარა გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, რაპირისტმა ოლეგ ჩერნიშოვმა (მწვრთნელი ლუდვიგ ღაღანიძე), რომელმაც პირად პირველობაში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა, ხოლო ქვეყნის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

## ქალთა საკავშირო პირველობაზე

**ალმა-ათაში** მიმდინარეობს სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 48-ე ჩემპიონატი.

9 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: იულია დიომინა (ნოვოსიბირსკი) — 7 ქულა, ირინა ჩელუშკინა (ლვოვი) — 6,5, სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე) — 6, ნინო გურიელი, ლიუდმილა კულიკოვა (ერევანი) — 5,5-5,5. ქეთევან კახიანს 4,5 ქულა და ნანა ალექსანდრიასთან უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვს.

## კვლავ საბჭოთა ხუთეული

**ისლანდიის** ქალაქ რეიკიავიკში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის" გათამაშების მესამე ეტაპი. 12 ტურის შემდეგ შეჯიბრებას კვლავ საბჭოთა დიდოსტატები ლიდერობენ. მიხეილ ტალმა, ალექსანდრე ბელიავსკიმ და იან ელვესტმა 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს. ლიდერთა სამეულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი და ანდრეი სოკოლოვი. მე-12 ტურში ყველა საბჭოთა დიდოსტატმა ნახევარი ქულა ჩაიწერა აქტივში. გარი კასპაროვი დაუზავდა ბორის სპასკის, მიხეილ ტალი — ჯონ ნანს, ალექსანდრე ბელიავსკი — ანდრეი სოკოლოვს, არტურ იუსუპოვი — ულფ ანდერსონს. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, პრედრაგ ნიკოლიჩისა და ჯონათან სპილმენის ორთაბრძოლა. ლაიოშ პორტიშმა სძლია დიულა საქსს, იოჰან. ჰიარტარსონმა — იან ტიმანს, ვიქტორ კორჩნოიმ — მარგეირ პეტურსონს.

### მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის

**გუშინ** თელავში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის მეათე პარტია მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის. თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი. პარტია გადაიდო. 41-ე სვლა ჩაიწერა მსოფლიო ჩემპიონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგლის მუხლითა და კეთილი გულით

**ბოლო** ხანს ბევრი რამ შეიცვალა: ჩვენმა, თბილისურმა კოოპერატივმა მოიპატიჟა შვეიცარიის რბენის მოყვარულთა კლუბის წევრები, თვითონვე უმასპინძლა მათ და ხელშეკრულებაც დაუდო. ცხადია, ეს შეთანხმება რაიმე დიპლომატიურ ღონისძიებებს არ ითვალისწინებს, უბრალოდ, დათქვეს, რომ მომავალშიც გააგრძელებდნენ ორივე მხარისთვის საჭირო შეხვედრებს. „მწამს, ჩვენი ჩამოსვლა თბილისში მხოლოდ მომავალი ურთიერთობის დასაწყისია" — გვითხრა ორგანიზაცია „მსოფლიო მორბენლების" შვეიცარიის ფილიალის (ჯგუფის) დირექტორმა ქალბატონმა ანდრეა ბადერმა. ამავე აზრისაა კიდევ შვიდი თანამემამულე, რომლებიც თბილისს ეწვივნენ.

უცხოელი სტუმრები უკვე გაგაცანით, ახლა მასპინძლების ჯერია. თუმცა, იქნებ ზოგისთვის მათი გაცნობა ზედმეტიც იყოს: რამდენიმე ხნის წინ კოოპერატივ „ჩოგანზე", რბენის მოყვარულთა ჯგუფზე („მგლის მუხლი") და მის ხელმძღვანელ თენგიზ გელდიაშვილზე უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. ჯგუფის მთავარი მონაპოვარია ხალხის დაინტერესება გამაჯანსაღებელი რბენით. მკითხველს ვაცნობებთ მეტად საინტერესო, ტრადიციული კროსის შემოღებაც. მასპინძლებმა შვეიცარიული მორბენლები სწორედ ამ კროსზე („მგლის მუხლი — 88") მოიწვიეს.

საოცარია, მაგრამ შეჯიბრების შემდეგ, როდესაც სტუმრებმა ყველაფერი საკუთარი თვალით იხილეს, აღმოჩნდა, რომ თურმე ისინიც ციურიხში სწორედ ასეთ ტრადიციულ კროსს აწყობენ თითქმის იდენტური წესებითა და მონაწილეთა რაოდენობით. მას, ცხადია, „მგლის მუხლი" არ ჰქვია, მაგრამ ანდრეა ბადერმა გვითხრა, რომ იქაც ასევე ხალისით გამოდიან სტარტზე ბავშვები, მოხუცები, ასაკოვანი მორბენლები. ...ეს ღონისძიებაც საერთო ენთუზიაზმს ემყარება... ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სტუმარ-მასპინძლებმა გუმანით მონახეს ერთმანეთი. თუმცა, უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, მათი გაცნობა შარშან აგვისტოში, მოსკოვის მარათონის დროს მოხდა და... „მაშინვე შევიყვარეთ ერთმანეთი", — იცინის ანდრეა ბადერი.

ოღონდ ამ ორ კროსს, თბილისურსა და შვეიცარიულს, გარკვეული ნათესაობის გარდა, განსხვავებული მიზნებიც აქვს. რბენა რომ ჯანმრთელობას უწყობს ხელს, ეს შვეიცარიაშიც კარგად იციან, მაგრამ ორგანიზაცია „მშვიდობის მორბენლები" მსოფლიოში შიმშილობის წინააღმდეგ იბრძვის და გარბენებსაც საქველმოქმედო მიზნით აწყობს... ჩვენთანაც, განსაკუთრებით კი ბოლო ხანს, გახსნილია ან იხსნება საქველმოქმედო ანგარიშები, თანხის კონკრეტული, ზუსტი მისამართი კი უმრავლესობამ არ იცის და ასეთი მდგომარეობა ეჭვებს (შესაძლოა, ზოგჯერ სამართლიანსაც) ბადებს. მშვიდობის მორბენლებს კი ფილანტროპობის უტყუარი და ხელშესახები ფორმა გამოუნახავთ, აირჩევენ რომელიმე ქვეყანაში სოფელს ან სხვა დასახლებულ პუნქტს და სკოლას უშენებენ, ან მატერიალურად ეხმარებიან და ა. შ. მასპინძლებთან საუბარში ჩვეულებრივ მხიარული და მოღიმარი შვეიცარიელები მეტად სერიოზულად, დაფიქრებულნი ლაპარაკობდნენ ამ უაღრესად საჭირო საქმეებზე. თავისი ჯგუფის საქმიანობა დაწვრილებით გაგვაცნო მორბენალთა კლუბის პრეზიდენტმა პიტერ კოენიგმა.

კროსი „მგლის მუხლი", როგორც უკვე გაცნობეთ, კუს ტბის ირგვლივ ტარდება. ასეთი სახის შეჯიბრების მოწყობა, მძლეოსნობის სპეციალისტები დაგვეთანხმებიან, საკმაოდ შრომატევადი საქმეა და ორგანიზატორებისაგან სათანადო გაწაფულობას მოითხოვს. თუმცა, ჯგუფის წევრების გზამკვლევი ყველაფერში მონდომება და საქმის სიყვარულია. ურთიერთშეთანხმებით ყველაფერს აღწევენ, თუმცა კროსის წესებს ზუსტ, პედანტურ დაცვას მაინცდამაინც არ დაგიდევენ. ამის გამო, საერთო შთაბეჭდილებით, შეჯიბრება ცოტა არ იყოს, აურზაურიანი, მაგრამ ძალზე სახალისო და საინტერესო გამოდის. გამოუცდელები იყვნენ შეჯიბრების მდივნებიც ირმა ბარბაქაძე და მარინე სეფერთელაძე, მაგრამ მათ ოპერატიულად შეაჯამეს ყველა შედეგი.

საერთოდ, კროსის ბუნების წიაღში ჩატარება სათანადო სათავსების უქონლობის გამო გარკვეულ დისკომფორტთან არის დაკავშირებული, მაგრამ „თანამოძმეებს" გულთბილად დახვდნენ კუს ტბის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მუშაკები ცენტრის დირექტორ რევაზ ზანდუკელის ხელმძღვანელობით. ის, რომ სტუმრებმა მეტად მყუდრო გარემოცვაში იგრძნეს თავი, სწორედ მათი დამსახურებაა.

„მგლის მუხლი" მოყვარულთა შეჯიბრებად ითვლება, მაგრამ თავისი მასშტაბით უკვე ოფიციალური ორგანიზაციების ყურადღებასაც იპყრობს. შეჯიბრებაზე მოვიდნენ ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ლევან თედიაშვილი და რამდენიმე მუშაკი, რომლებიც მზად იყვნენ მხარში ამოსდგომოდნენ ორგანიზატორებს. კროსს დაესწრნენ რესპუბლიკის სპორტსახკომის წარმომადგენლებიც.

შეჯიბრების მოთავეები დიდად მადლიერნი იყვნენ საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელებისა. მართლაც, მათი დიდი დახმარება რომ არა, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა უამრავი საჩუქრისა და პრიზის შეძენა, ფულადი პრემიების დაწესება, შეჯიბრების მოძრავი რადიოკვანძით უზრუნველყოფა...

ენთუზიაზმი კროსს არც ადრე აკლდა, მაგრამ ახლანდელი პრიზები კიდევ ერთი სტიმული გახდა მონაწილეებისთვის. მთავარი ჯილდო, როგორც ადრე გაცნობეთ, 300 მანეთი იყო სხვა პრიზებთან ერთად. ყველა პრიზიორმა მიიღო ტრადიციული ჯილდო — თითო ქილა თაფლი.

ობიექტური მიზეზების გამო, წინდაწინვე იყო ცნობილი გამარჯვებულის ვინაობა, — შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი, თბილისელი ოლეგ სტრიჟაკოვი, მაგრამ ამჟამად სეზონის ბოლოა და იგი, ცხადია, კარგ სპორტულ ფორმაში არ იყო, სხვები კი საგანგებოდ ემზადებოდნენ კროსისათვის, ასე რომ, შანსები გათანაბრდა და ამიტომ შეჯიბრებაც უფრო საინტერესო გამოდგა, ფავორიტთა შორის ასახელებდნენ აგრეთვე შვეიცარიელ იურგ ჟოლსაც, რომელსაც ძალზე კარგი პირადი შედეგები აქვს 5 და 10 კილომეტრზე რბენაში, შესაბამისად 13.42,0 და 28.50,0. მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი უკვე ძველებურად აღარ ვარჯიშობს.

სტრიჟაკოვმა მართლაც გაიმარჯვა კროსში, ოღონდ ამისათვის მას საკმაოდ დიდი ძალის დახარჯვა მოუხდა. მისი შედეგი 5725-მეტრიან დისტანციაზე 17 წუთი და 20 წამია. მას სულ რამდენიმე წამით ჩამორჩნენ შალვა ნადირაძე (17.26,0) და ვალერი გედევანიშვილი (17.29,0).

საინტერესო იყო პირველი გარბენიც, რომელშიც ბავშვები და ვეტერანები მონაწილეობდნენ. 40 წელზე უფროსი ასაკის მორბენალთა შორის გამარჯვებისთვის ძირითადად ორი სპორტის ოსტატი — ქიმიკოსი მურმან ურუშაძე და ინჟინერი ზურაბ თავბერიძე იბრძოდნენ, თუმცა ბოლოს მეტოქეებმა და მეგობრებმა ხელიხელჩაკიდებულებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი.

ყველაზე უფროსი მონაწილისთვის დაწესებული პრიზი მიიღო 69 წლის სოსო გოლეთიანმა, ყველაზე უმცროსისთვის განკუთვნილი ჯილდო კი მისმა შვილიშვილმა, რვა წლის გიორგი ფურცელაძემ, თანატოლ ირაკლი მაჭარაშვილთან ერთად. არც ერთი შვეიცარიელი მორბენალი პრიზიორთა შორის არ მოხვედრილა, თუმცა კი სიხარულით მიიღეს საგანგებოდ სტუმართათვის დაწესებული საჩუქარი — სვანური ქუდები, „ეს გარბენი ჩვენი მეგობრობის დასაწყისი იქნება" — კიდევ ერთხელ თქვა კროსის შემდეგ ანდრეა ბადერმა.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**



შვეიცარიელი სტუმრები სტარტის წინ. მარჯვნიდან მეორე — ანდრეა ბადერი, მესამე —პიტერ კოენიგი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



დისტანციაზეა ლიდერთა ჯგუფი, მესამე — კროსში გამარჯვებული, თბილისელი ოლეგ სტრიჟაკოვი (№ 58).

## შედეგები

კვარცხლბეკი

**13-14 წლამდე ასაკის ბავშვები. გოგონები.** 1. ეკა თევზაძე; 2. ლიზა ტატიშვილი; 3. ალინა ალიევა. **ბიჭები.** 1. იური ბერზენკო; 2. დიმიტრი შერშენი; 3. რაშიდ ალიევი.

**14-17 წელი. გოგონები.** 1. ლია ნანიშვილი; 2. ოლგა პივოვაროვა; 3. ლიზა ბურნაძე. **ბიჭები.** 1. სერგეი პავლოვი; 2. მამუკა თევზაძე; 3. ანდრეი მარკინი.

**40 წელზე უფროსი ასაკის მამაკაცები.** 1. მურმან ურუშაძე; 2. ზურაბ თავბერიძე; 3. ნიკოლოზ დუდნიკი.

**50 წელზე უფროსი ასაკის მამაკაცები.** 1. ევგენი გლებოვი; გიორგი სტროგეცკი; 3. ალექსეი ზელიგორსკი.

**აბსოლუტური პირველობა. ქალები.** 1. ლეონიდა შაპოვალოვა — 20.35,0; 2. ლამზირა კაპანაძე — 22.18,0, 3. ნატო კირვალიძე — 23.15,0.

**ვაჟები.** 1. ოლეგ სტრიჟაკოვი — 17.20,0; 2. შალვა ნადირაძე — 17.26,0; 3. ვალერი გედევანიშვილი — 17.29,0.

# მოტომრავალჭიდის აღორძინება

**რამდენიმე** წლის „შესვენების" შემდეგ სპორტის ტექნიკურ სახეობათა ასპარეზობების კალენდარში კვლავ გამოჩნდა მოტომრავალჭიდი. საქმე ისაა, რომ, თუ 1971-1984 წლებში სპორტის ეს სახეობა საკმაო პოპულარობით სარგებლობდა და რეგულარულად ტარდებოდა როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური ჩემპიონატები, შემდგომში იგი სხვა სახეობამ, მოტოტრიალმა შეცვალა. ვერ გეტყვით, რამ გამოიწვია ეს, რა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები დაედო საფუძვლად ამ გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება —მოტოტრიალმა ვერ გაუწია სრულფასოვანი „მეტოქეობა" მოტომრავალჭიდს და წელს, ოთხი წლის შესვენების შემდეგ, პირველად ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მოტომრავალჭიდში. 28-30 ოქტომბერს კი გაიმართება საკავშირო პირველობა.

ორიოდე სიტყვით უფრო ახლო გავაცნობთ სპორტის ამ სახეობას. სპორტსმენები ხუთ დისციპლინაში ეჯიბრებიან ერთმანეთს: 100 მ. ცურვა, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, მძლეოსნური კროსი 3 კილომეტრზე, მოტოციკლის ფიგურული ტარება (10 ვარჯიში) და მოტოკროსი. ასპარეზობა მოტოციკლის ფიგურულ ტარებასა და მოტოკროსში ტარდება ორ კლასში: 125 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მოტოციკლებით (ჭაბუკები) და 350 კბ სმ ძრავიანებით.

თბილისში, დოსაафის რესპუბლიკურ სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზაზე გამართულმა საქართველოს პირად-გუნდურმა ჩემპიონატმა ძალზე საინტერესოდ და დაძაბულად ჩაიარა. გუნდურ პირველობაში 12140 ქულით გაიმარჯვა სპორტულ-ტექნიკური კლუბის პირველმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სერგეი არაქელიანი (125 კბ სმ), ლევან შალიბაშვილი და დიმიტრი ევსეენკო (350 კბ სმ). კლუბს ხელმძღვანელობს ვეფხო ბალაშვილი. მეორე ადგილი (10045 ქ.) დაიკავა ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლის გუნდმა (ალექსანდრე ნაზარევი, ვადიმ ვავიანი, ალექსანდრე რეშეტოვი), მესამე — ქუთაისელმა მოტომრავალჭიდელებმა (დავით ჭოლაძე, ალექსანდრე დედიკი, ფრიდონ ოჩიგავა. 9505 ქ. ).

პირად ჩათვლაში 125 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მოტოციკლებით პირველი იყო სერგეი არაქელიანი (სტკ-1), მეორე — ალექსანდრე ნაზარევი (ბმსტს), მესამე — სტანისლავ ბაბასიევი (ამს რსტკ). 350 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მანქანებით ასპარეზობაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ლევან შალიბაშვილმა (სტკ-1). შემდგომი ადგილები დაიკავეს დიმიტრი ევსეენკომ (სტკ-1) და ანატოლი დედიკმა (ქუთაისი). — საქართველოს ჩემპიონატმა ნაწილობრივ გაარკვია იმ სპორტსმენთა ვინაობა, რომლებიც რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ საკავშირო პირველობაზე — გვითხრა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა თენგიზ შალიბაშვილმა. ესენი არიან: დიმიტრი ევსეენკო, ლევან შალიბაშვილი, სერგეი არაქელიანი. ნაკრების დანარჩენი წევრების ვინაობას საწვრთნელი შეკრება გაარკვევს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოტომრავალჭიდელები თავს არ შეირცხვენენ და წარმატებით იასპარეზებენ საკავშირო ასპარეზობაზე.

**გიორგი ქორქია.**



# ფინალისტები გამოვლინდნენ

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა სასახლის პირველობის ნახევარფინალური ტურნირი ვაჟთა შორის. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდა 124 მოჭადრაკე. აქედან ნახევარზე მეტს ოსტატობის კანდიდატები შეადგენდნენ.

ყველასათვის მოულოდნელად, პირველივე ტურებიდან ლიდერობა ხელთ იგდეს ოსტატობის კანდიდატებმა პაატა ვაშაკიძემ და კახა პეტრიაშვილმა, რომლებიც სულ რამდენიმე თვეა დაბრუნდნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან. აღსანიშნავია, რომ პაატა ვაშაკიძე ავღანეთში იხდიდა თავის ინტერნაციონალურ ვალს, კახა პეტრიაშვილი — გერმანიაში.

ტურნირში ორივემ შესანიშნავად ითამაშა კ. პეტრიაშვილი ყოველ ტურში ლიდერობდა. საბოლოოდ მან 9 ქულით I-II ადგილები გაიყო ოსტატობის კანდიდატ მირიან იმერლიშვილთან ერთად. რაც შეეხება პ. ვაშაკიძეს, მან ფინიშზე „სიმქარეს უკლო" და საბოლოოდ 8,5 ქულით III-VI ადგილები გაინაწილა ოსტაობის კანდიდატებთან ვასილ გიორგაძესთან, ვიქტორ ტახტაროვთან და ალექსი მეზვრიშვილთან.

დებულების თანახმად, ექვსივე მოჭადრაკემ ჭადრაკის სასახლის პირველობის ფინალური ტურნირის საგზურები მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვება



სეული. 17 სექტემბერი — 2 ოქტომბერი, 1988 წ.




**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის წევრი ბევრი სახელმწიფო სეულის ოლიმპიადის დღეებში ქვეყნის შიგნით სიმშვიდის დაცვას შეუძლებლად მიიჩნევდა. სტუდენტთა მღელვარება არ დამცხრალა ოლიმპიადამდე რამდენიმე დღით ადრეც კი. მაგრამ დაიწყო თამაშები და ყველაფერი მიწყნარდა. ვერ ვიტყვით, რომ მთავარი როლი აქ მხოლოდ პოლიციამ და ჯარის ნაწილებმა შეასრულეს. დაშინება ნამდვილად არაფერ შუაშია, ხალხმა და თვით სტუდენტობამ გამოიჩინა შესაშური შეგნება, თუმცა, ერთხელ მაინც მოეწყო სტუდენტთა გამოსვლა, მაგრამ ამას არც ხელი შეუშლია და არც რაიმე ჩრდილი მიუყენებია თამაშებისთვის. ოლიმპიური ბაზებიდან შორს კი, ათმილიონიანი ქალაქის მეორე ნაწილში, იქ, სადაც იუნესკოს შენობაა, ზედიზედ რამდენი-



ოლიმპიური სოფლის ერთ-ერთი კუთხე.

მე დღე იმართებოდა რაღაც თავყრილობა, მაგრამ მისი მონაწილენი ქუჩებში არ გამოდიოდნენ, მხოლოდ იმ შენობის წინ იოხებდნენ გულს ხმაშეწყობილი შეძახილებით.

სიმშვიდეს და სიწყნარეს სეულში სპეცსამსახურის 140 ათასი წარმომადგენელი იცავდა. სპორტული ბაზები, ოლიმპიური სოფლები, სასტუმროები და საერთოდ, ყველა ობიექტი, სადაც თამაშების სტუმრებს შეხვდებოდით, საგანგებოდ იყო დაცული როგორც ხმელეთიდან, ისე ჰაერიდან და ზღვიდან. ოლიმპიური სოფლების კორპუსების სახურავებზეც კი საგანგებო საგუშაგოები იყო მოწყობილი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმანაც, რომ ქალაქის ქუჩებში ყოველდღე ხელახლა ლუქავდნენ კანალიზაციის ჰებს, შენობებში კი ლუქს ადებდნენ სახანძრო კარადებსაც. ეს იმ მიზნით კეთდებოდა, რომ ვინმეს ასაფეთქებელი საგნები არ დაემალა. დალუქული ადგილები დღე-ღამეში რამდენჯერმე საგულდაგულოდ მოწმდებოდა.

პოლიციელები ყველგან იყვნენ, მაგრამ მათი თავაზიანობა, გამუდმებული ღიმილი და კეთილგანწყობა სტუმრებს ავიწყებდა ოფიციალურ გარემოცვას. გუშაგები თავიანთი მოქმედებით არასდროს უსვამდნენ ხაზს იმას, რომ ისინი აქ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ და მხოლოდ წესრიგის დასაცავად

იდგნენ. ყოველდღიური აუცილებელი „პროცედურები" კი როგორღაც სტუმრებისთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა და ამის გამო თავს უხერხულად არავინ გრძნობდა.

**მაგრამ** ასეთივე სიმშვიდე როდი იყო სპორტულ ბაზებზე, სადაც, ლოგიკის საწინააღმდეგოდ, შფოთისთავებად თვით მასპინძლები მოგვევლინენ. ყველაზე დიდი სკანდალი გამოიწვია კორეელ მოკრივეთა მენეჯერის თავშეუკავებლობით ატეხილმა დებოშმა. ალბ-





ათ გახსოვთ, კორეელი სპორტსმენის წაგებით განაწყენებული მენეჯერი რინგზე აიჭრა და რეფერის სილა გააწნა. ადგილობრივმა მაყურებელმა ჩვეულებრივ ამბად მიიღო თანამემამულის დამარცხება, მაგრამ ამ ინციდენტის მერე, მით უფრო მას შემდეგ, რაც მენეჯერს კიდევ ოთხმა თავისიანმა აუბა მხარი, დარბაზი აბობოქრდა. იმ საღამოს ნამდვილი ომი დატრიალდა დარბაზში. მასპინძლებმა აშკარად შეირცხვინეს თავი. ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ გამოაცხადა, რაც მოხდა, ჩემს პირად დანაშაულად მიმაჩნია და დაუყოვნებლივ გადავდგები დაკავებული პოსტიდანო. შემდეგ მას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად სთხოვა თამაშების ბოლომდე დარჩენილიყო თავის თანამდებობაზე, რათა ოლიმპიადის ორგანიზატორებს მუშაობაში ხელი არ შეშლოდათ.

მასპინძლები ძალიან გაანაწყენა ამერიკული ტელეკომპანია „ენ-ბი-სის" მოქმედებამ, რომელმაც ეს ფაქტი რამდენჯერმე გადასცა კომენტარებით. „ენ-ბი-სის" ოლიმპიადის ტელეტრანსლაციის მონოპოლიური უფლება ჰქონდა შესყიდული (ამ ტელეკომპანიამ 1200 თანამშ-

რომელი მიავლინა სეულში) და ასეთ მომენტს ხელიდან როგორ გაუშვებდა. როცა ერთ-ერთმა კორეელმა ჟურნალისტმა „ენ-ბი-სის" ოფიციალურ წარმომადგენელს პრესკონფერენციაზე სწორედ ამ კუთხით დაუსვა შეკითხვა, მოპასუხემ პირდაპირ განაცხადა: დიახ, ასეთი ფაქტები დიდად აამაღლებს ჩვენი ტელეკომპანიის აქციებს და ყოველივე ამას, ცხადია, მოგებაც სოლიდური მოაქვსო. შემდეგ დასძინა: ამბობენ, თითქოს სეულის ოლიმპიადამ 80 მილიონი მოგება

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — ამირან ტოტიკაშვილი და ხრისტინა ფალახიძე სეულის აეროპორტში: ახეთია სეულის ქუჩები: ქვევით — ოლიმპიურ შეჯიბრებებზე სკოლამდელი ასაკის ბავშვებიც დაჰყავდათ.



მოუტანა ჩვენს ტელეკომპანიას; ეს გადაჭარბებული ციფრია, ჩვენ მივიღეთ მოგება, მაგრამ ამდენი არაო.

**გავიდა** რამდენიმე დღე და მასპინძლებმა თითქოს სამაგიერო გადაუხადეს თავიანთ „კეთილისმსურველებს" — ღამის ბარში პოლიციამ დააკავა ორი ამერიკელი მოცურავე, რომლებსაც მაგიდის ქვეშ ფეხებთან ედგათ იქვე სასტუმროში მოპარული პატარა ქანდაკება. ამ ამბის გამო სასამართლო საქმე აღიძრა და მისი ექო კარგა ხანს არ შეწყვეტილა მსოფლიო პრესის ფურცლებზე თუ ტელეეკრანებზე. ქანდაკება, რისთვისაც თავი შეირცხვინა ორმა ჩემპიონმა, შეფასებული ყოფილა 830 დოლარად.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა საერთოდ კორეელ მაყურებელზე. უცხოელი კორესპონდენტები ირწმუნებოდნენ, რომ მასპინძლებს სპორტში მაინცდამაინც ბევრი არაფერი გაეგებათ და ეს არც აინტერესებთო. ყველაზე ხელშესახებ საბუთად ასახელებდნენ იმას, რომ თვით სეულში, თამაშების ცენტრში (სპორტის რამდენიმე სახეობაში შეჯიბრებები სხვა ქალაქებშიც ჩატარდა), ტრიბუნები მაყურებლებით არ ივსებოდა. მასპინძლები თავს იმართლებდნენ: ჩვენ ბილეთები წინდაწინ შევიძინეთ როგორც უცხოელი კომპანიონი ფირმებისთვის, ისე პირადი სტუმრებისთვის, რომლებმაც ჩამოსვლა ველარ მოახერხესო. მაგრამ კირკიტა ჟურნალისტებმა, კერძოდ, რეიტერის სააგენტოს წარმომადგენლებმა მთავარ პრესცენტრში სხვადასხვა საინტერესო ცნობებთან ერთად ისიც აუწყეს კოლეგებს, რომ ოფიციალური წყაროების მონაცემებით, სეულის თამაშებზე ბილეთების საერთო რაოდენობის მხოლოდ 77 პროცენტი გაიყიდა (მთავარ პრესცენტრში მსოფლიოს მსხვილი სააგენტოები, მათ შორის ჩვენი საკდესი და ახალი ამბების სააგენტო, ყოველდღიურად აკრავდნენ ახალ-ახალ ინფორმაციებს, რაც ძალიან უადვილებდა სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებს ინფორმაციის მიღებას. ინფორმაციის გაცვლის ასეთი გზა, უდავოდ, კარგია).

კორეელი მაყურებლი, ცხადია, თავგამოდებით უჭერდა მხარს თავისი ქვეყნის სპორტსმენებსა თუ გუნდებს. სხვა შემთხვევაში ისინი სტუმრების ორივე მხარეს ამხნევებდნენ. მაგალითად, [illegible] ნეთს ხვდებოდნენ [illegible] და აშშ-ის სპორტსმენები, ტრიბუნებზე ორივე ქვეყნის დროშები ფრიალებდა. ზოგი ერთ სპორტსმენს ან გუნდს უჭერდა მხარს, ზოგი — მეორეს. სეულის ორგანიზაციებს, სასწავლებლებს, ფირმებს თურმე წინასწარ ჰქონდათ დავალებული, ვისთვის უნდა გაეწიათ გულშემატკივრობა. მასპინძლებმა ამითაც ხაზი გაუსვეს თავიანთ საერთო კეთილგანწყობილებას და სულისკვეთებას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ, მასპინძლების ზედმეტმა მონდომებამ ერთგვარი ჩრდილიც მიაყენა თამაშებს — მსაჯები თითქმის ყოველთვის, განსაკუთრებით ინდივიდუალურ სახეობებში, აშკარად მიკერძოებას იჩენდნენ ადგილობრივი სპორტსმენებისადმი. არაობიექტური მსაჯობის ფაქტები სამარცხვინომაც აღიარა, მაგრამ ისე, რომ მიზეზი არ აღუნიშნავს.

**გახსენდება** ჩონჩხუნის სპორტული დარბაზი, ძიუდოისტთა ასპარეზობის გახსნის დღე. ამ ასპარეზობაზე სტუმრად მოვიდნენ ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირები და სოკ-ის ხელმძღვანელები, იყო მისალმებებისა და ჯილდოების ურთიერთგაცვლა. შემთხვევით არაფერი მომხდარა, სარბიელზე პირველსავე შეხვედრაში გამოდიოდა ცნობილი ძიუდოისტი, მსოფლიოს და აზიური თამაშების ჩემპიონი, სამხრეთკორეელი კიმ ჟე ხუნი. დარბაზში განწყობას ამაღლებდა ისიც, რომ ყოველი ტრიბუნის წინ იდგნენ „დირიჟორი" გოგონები, რომლებიც ერთი ხელის აქნევაზე ხმაშეწყობილად ახმიანებდნენ ხოლმე დარბაზს. მასპინძელი სპორტსმენის მეტოქე იყო ჩვენი ამირან ტოტიკაშვილი. ბედის სიმუხთლეც ამას ჰქვია, მაგრამ ფორტუნამ ასე ინება და ახლა აღარაფერი შეიცვლებოდა. ჩავთვალოთ, რომ ეს შეხვედრა ძიუდოისტთა შეჯიბრების ფინალია ამ წონაში. აკი დარბაზიც ასეა განწყობილი. ამ შეხვედრის ნიუანსებზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მსაჯებმა აქაც აშკარად გამოავლინეს არაობიექტურობა. მათ ამირანის სულ ცოტა ორი მომგებიანი ილეთი „ვერ შენიშნეს", „არ შეაფასეს".



ოლიმპიური ტატამი ჩანჩხუნის სპორტულ დარბაზში.

შეხვედრა დამთავრდა, მასპინძელმა გაიმარჯვა, ტოტიკაშვილი იმ ჯგუფში გადავიდა, სადაც დამარცხებულები კიდევ ერთხელ ცდიან ბედს და აგრძელებენ ასპარეზობას. ამირანის იმედები ახლა კიმ ჟე ხუნის წინსვლაზე იყო დამოკიდებული. ასეთი წესია ძიუდოში.

რაც მოხდა, მოხდა. მაგრამ ამირანმა იმავე დღეს, იმავე დარბაზში, იმავე მაყურებლის თანდასწრებით დაამტკიცა, რომ იგი ძიუდოს მართლაც უბადლო რაინდია. ქართველი სპორტსმენი შეხვედრას შეხვედრაზე იგებდა. თანაც ბრწყინვალედ, მაღალოსტატურად. საბოლოოდ — მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი. კიმ ჟე ხუნი ჩემპიონი გახდა. იმ საღამოს, იმავე მომენტიდან, როცა კორეელი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, სეულის ტელევიზიამ ერთი არხი მთლიანად ამ გამარჯვებას დაუთმო — კიმ ჟე ხუნისადმი მიძღვნილი წინასწარ მომზადებული საგანგებო გადაცემა... ოთხ საათს გაგრძელდა. თურმე ნუ იტყვი, ყველაფერი გათვლილ-გაანგარიშებული ყოფილა...

**თენგიზ ბაჩეჩილაძე,**
„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.
სეული — თბილისი.

ავტორის ფოტოები.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 198, 199, 200.

(გაგრძელება იქნება)

# სსრ კავშირი—ავსტრია

**დღეს** კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე გაიმართება მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ევროპის ზონის III ჯგუფის გუნდებს შორის: საბჭოთა ფეხბურთელები აქ ავსტრიის ნაკრებს მიიღებენ.

ეს გუნდები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა შეჯიბრებაში 12-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. 6 მატჩი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, 4 — ავსტრიელებმა, 2 შეხვედრა ფრედ დამთავრდა, გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაა 17:13 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ.

დღევანდელი საერთაშორისო მატჩი დიდ ინტერესს იწვევს. ჯგუფის მონაწილე გუნდებიდან (სსრ კავშირი, გდრ, ავსტრია, თურქეთი, ისლანდია) ორი საგზურის უმთავრესი პრეტენდენტები არიან სსრ კავშირის, გდრ-ისა და ავსტრიის გუნდები. საფეხბურთო მიმომხილველთა უმეტესობა პრიორიტეტს საბჭოთა გუნდს აძლევს, მაგრამ მეორე საგზურისთვის მძაფრ ბრძოლას ელიან ავსტრიასა და გდრ-ს შორის.

ავსტრიის ნაკრების მწვრთნელია 40 წლის ი. ჰიკერსბერგერი, რომელსაც წინა წლებში თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 39 მატჩი აქვს ჩატარებული. ი. ჰიკერსბერგერი არ მალავს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრას ვარაუდობს. საბჭოთა ნაკრებს იგი მაღალ შეფასებას აძლევს, განსაკუთრებით ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, მაგრამ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების იმედი აქვს. მის განკარგულებაშია მაღალი კლასის ფეხბურთელთა საკმაო მოზრდილი ჯგუფი, უპირველეს ყოვლისა, ევროპის შარშანდელი „ვერცხლის ბუცის" მფლობელი ა. პოლსტერი, რომელიც უცხოეთის კლუბებში გამოდის, კერძოდ, ჯერ იტალიის „ტორინოში", ხოლო შემდეგ — ესპანეთის „სევილიაში". მწვრთნელმა ეროვნულ ნაკრებში მიიწვია ავსტრიის ახალგაზრდული გუნდის პერსპექტიული ფეხბურთელები არტნერი, ფრენდი, პეცლი.

აღსანიშნავია, რომ ავსტრიის ეროვნულ ნაკრებს ბოლო ხანებში რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი წარმატებები არა აქვს. კერძოდ, ავსტრიელებმა მონაკოში გამართულ ტურნირში წააგეს მაროკოსა (1:3) და შვეიცარიის (1:2) გუნდებთან, დამარცხდნენ ბრაზილიის ეროვნულ გუნდთან (0:2) და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთანაც (2:4), მაგრამ ფრედ ითამაშეს ბერძნებთან (2:2), ბუდაპეშტში დაამარცხეს ტრადიციული მეტოქე — უნგრეთის გუნდი (4:0), საპასუხო მატჩში კი ვენაში მხოლოდ ფრეს მიაღწიეს — 0:0.

კიევში გამომგზავრების წინ ი. ჰიკერსბერგერმა ოპტიმიზმით აღსავსე ინტერვიუ მისცა კორესპონდენტებს: „დარწმუნებული ვარ, რომ ამ მატჩში ღირსეულად გამოვალთ. ჩემი აზრით, საბჭოთა ნაკრებმა გაიარა თავისი საუკეთესო ფორმის პიკი და ახლა უფრო სუსტად გამოიყურება, ვიდრე ევროპის ჩემპიონატში. მთავარია, ჩვენს მოთამაშეებს ჩავუსახოთ წარმატების რწმენა, ფსიქოლოგიურად განვაწყოთ მოგებისთვის. პირველი ადგილის პრეტენზიები არა გვაქვს, მაგრამ მეორე საგზურისთვის თავგამოდებით ვიბრძოლებთ".

* * *

მატჩის ტელერეპორტაჟი კიევიდან დაიწყება 20 საათზე თბილისის დროით.

ფეხბურთი ფეხბურთი

## I ლიგა

**გუშინ** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, მე-40 ტურის შეხვედრები.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მატჩი ვოლგოგრადში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საგზურის პრეტენდენტები ადგილობრივი „როტორი" და ლანჩხუთის „გურია".

თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**I ლიგის** ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 39-ე ტურის მატჩში დონის როსტოვის არმიელთა გუნდსა და ლანჩხუთის „გურიას" შორის, გაიმარჯვეს ლანჩხუთელებმა — 3:0. ორი ბურთი გაიტანა ხლუსმა, ერთი — ფრიდონაშვილმა. გააფრთხილეს „გურიის" ფეხბურთელები ანდღულაძე და გოგრიჭიანი.

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ბოლო, მე-40 ტურის შეხვედრები: „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:0, „სპარტაკი" (ტამბოვი) — „დინამო" (სოხუმი) 2:1, „ურალანი" (ელისტა) — „ისკრა" (ერევანი) 5:0, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 6:2, „კოლხეთი" (ფოთი) — „სპარტაკი" (ანაპა) 0:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) 1:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) — 3:2, „ოლიმპია" (ლენინაკანი) — „მაშუკი" (პიატიგორსკი) 1:5, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „ლუჩი" (აზოვი) 1:0, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „ნარტი" (ჩერქესკი) 3:1.

### სსრ კავშირის თასზე

**პავლოდარში** შედგა სსრ კავშირის 1988-89 წლების თასის საპასუხო მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „ტრაქტორსა" და დონეცკის „შახტიორს" შორის.

ამ გუნდების პირველი შეხვედრა მოიგო „შახტიორმა" — 4:0. პავლოდარელმა ფეხბურთელებმა საპასუხო მატჩში მხოლოდ ფრეს მიაღწიეს (1:1) და მეოთხედფინალში თამაშის უფლება დონეცკის „შახტიორს" ხვდა წილად.

## ფედერაციის თასზე

**17 ოქტომბერს** მოსკოვში შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და ალმა-ათის „კაირატს" შორის.

თამაში დამთავრდა ალმაათელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 1:0.

ამრიგად, თასის ფინალურ მატჩში, რომელიც ნოემბრის დასასრულს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან ბაქოს „ნეფთჩი" და ალმა-ათის „კაირატი". ფინალისტთა შესახებ ის შეიძლება ითქვას, რომ „ნეფთჩიც" და „კაირატიც" წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის დატოვების უპირველესი კანდიდატები არიან.

**საერთაშორისო ფეხბურთი: მიმოხილვა, ცხრილები**

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

### საფრანგეთი

**XIV ტური.** „სენტ ეტიენი" — „ტულონი" 2:1, „სტრასბურგი" — „კაენი" 1:2, „მარსელი" — „მეცი" 3:2, „ლანი" — „კანი" 2:2, „სოშო" — „ოსერი" 3:2, „ნიცა" — „სენ ჟერმენი" 3:1, „რესინგი" — „ბორდო" 4:1, „ლავალი" — „ნანტი" 0:2, „ტულუზა" — „ლილი" 1:1, „მონპელიე" — „მონაკო" 4:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენ ჟერმენი" | 14 | 20-11 | 27 |
| „ოსერი" | 14 | 22-13 | 27 |
| „მარსელი" | 14 | 31-18 | 27 |

### ინგლისი

**VI ტური.** „ქოვენთრი" — „მიდლსბრო" 3:4, „ლივერპული" — „ნიუკასლი" 1:2, „მილუოლი" — „ქუინს პარკი" 3:2, „ნორვიჩი" — „ჩარლტონი" 1:3, „ნოტინგემი" — „ლუტონი" 0:0, „შეფილდი" — „ასტონ ვილა" 1:0, „საუთჰემპტონი" — „დერბი" 0:0, „ტოტენჰემი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 2:2, „ვესთ ჰემი" — „არსენალი" 1:4, „უიმბლდონი" — „ევერტონი" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მილუოლი" | 6 | 13-7 | 14 |
| „ნორვიჩი" | 6 | 11-8 | 13 |
| „ლივერპული" | 6 | 10-5 | 11 |

### შოტლანდია

**VIII ტური.** „დანდი იუნაიტედი" — „რეინჯერსი" 0:1, „ჰამილტონი" — „აბერდინი" 0:1, „სელტიკი" — „მოდერეული" 3:1, „ჰართსი" — „დანდი" 1:1, „სენტ მირენი" — „ჰიბერნიანსი" 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 8 | 16-3 | 15 |
| „ჰიბერნიანსი" | 8 | 7-2 | 12 |
| „დანდი იუნაიტედი" | 8 | 10-5 | 11 |

### ავსტრია

**XIV ტური.** „ტიროლი" — „სენტ პოლტენი" 4:2, „რაპიდი" — „შტეირი" 1:0, „ლასკი" — „კლაგენფურტი" 1:1, „ვიენა" — „გაკი" (გრაცერ აკ) 2:4, „ადმირა" — „აუსტრია" 2:1, „შტურმი" — „ვინერ სკ" 2:5.

| | | |
|---|---|---|
| „აუსტრია" | 15 | 22 |
| „ტიროლი" | 14 | 19 |
| „სენტ პოლტენი" | 14 | 19 |

### ჩეხოსლოვაკია

**VIII ტური.** „ბანსკა ბისტრიცა" — „ვიტკოვიცე" 2:1, „ინტერი" — „ოლომოუცი" 1:1, „დუნაისკა სტრედა" — „ბოჰემიანსი" 3:0, „შკოდა" — „სლოვანი" 2:1, „სპარტა" — „რუდა ჰვეზდა" 5:0, „ბანიკი" — „დუკლა" 3:2, „ტრნავა" — „ნიტრა" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სლავია" | 8 | 14-11 | 13 |
| „სპარტა" | 8 | 23-7 | 12 |
| „ვიტკოვიცე" | 8 | 15-8 | 9 |

### რუმინეთი

**VIII ტური.** „კონსტანცა" — „ორადეა" 0:1, „მორენი" — „ბაკაუ" 3:1, „ბრაშოვი" — „პიტეშტი" 2:1, „ჰუნოდოარა" — „სპორტული" 1:0, „ტირგუ-მურეში" — „რაპიდი" 0:1, „ოლტი" — „კრაიოვა" 1:1.

| | | |
|---|---|---|
| „დინამო" | 8 | 16 |
| „სტიაუა" | 8 | 16 |
| „ვიქტორია" | 7 | 11 |

### ბელგია

**II ტური.** „ვარეგემი" — „ლოკერენი" 1:2, „სტანდარდი" — „ლიეჟი" 0:3, „ბევერენი" — „კორტრიკი" 4:2, „სერკლი" — „შარლერუა" 2:0, „გენკი" — „ბეერსკოტი" 2:2, „მოლენბეკი" — „რესინგ მეჰელენი" 1:0, „მეჰელენი" — „სენტ ტრიუდენი" 3:0, „ანტვერპენი" — „ბრიუგე" 1:2, „ლიერსე" — „ანდერლეჰტი" 1:4.

| | | |
|---|---|---|
| „მეჰელენი" | 11 | 20 |
| „ანდერლეჰტი" | 11 | 19 |
| „ბრიუგე" | 11 | 16 |

### იუგოსლავია

**IX ტური.** „რადნიჩკი" (ბელგრადი) — „პარტიზანი" 0:2, „სკოპლე" — „სარაევო" 2:2 (2:4), „ტიტოგრადი" — „ჰაიდუკი" 2:1, „ოსიეკი" — „დინამო" (ზაგრები) 0:2, „კრუშევაცი" — „ტუზლა" 0:1, „ცრვენა ზვეზდა" — „ნოვი სადი" 3:1, „ჟელეზნიჩარი" — „ზენიცა" 1:2, „ველეჟი" — „რადნიჩკი" (ნიცა) 3:0, „რიეკა" — „სუბოტიცა" 0:0 (5:6).

| | | |
|---|---|---|
| „რადნიჩკი" (ბელგრადი) | 9 | 11 |
| „ველეჟი" (მოსტარი) | 9 | 10 |
| „ნოვი სადი" | 9 | 10 |

## სასამართლო პროცესი განახლდა

**ბელგიის** დედაქალაქ ბრიუსელში განახლდა სასამართლო, სადაც განიხილავენ 26 ინგლისელი ფეხბურთის გულშემატკივრის ბრალდების საკითხს. ამ ხულიგნებმა 1985 წლის 29 მაისს სისხლისმღვრელი აქცია ჩაიდინეს ბრიუსელის „ეიზელის" სტადიონზე ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის დროს იტალიის „იუვენტუსსა" და ინგლისის „ლივერპულს" შორის, რის შედეგადაც დაიღუპა 39 კაცი და რამდენიმე ასეული მძიმედ დაიჭრა.

სასამართლო ამა წლის აპრილში დაიწყო, მაგრამ ცალკეული დეტალების დამატებით განსახილველად გადაიდო. ინგლისელ ხულიგნებს 10 წლამდე პატიმრობა ელით, გარდა ამისა, ბრალდება წაუყენეს ბრიუსელის პოლიციის წარმომადგენლებს და ბელგიის საფეხბურთო კავშირის გენერალურ მდივანს, ვინაიდან მათ ვერ უზრუნველყვეს საჭირო წესრიგი სტადიონზე თამაშის დროს.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, 41-ე ტირაჟები, რომელიც 9 ოქტომბერს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 1.404.595 ვარიანტი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (79) მოგება 768 მანეთია, ოთხისთვის (2372) — 26, სამისთვის (34713) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 14.407.580 ვარიანტი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (47) მოგება 9.208 მანეთია, ოთხისთვის (6394) — 122, სამისთვის (189651) — 5.

## „სპორტპროგნოზი"

**42-ე ტირაჟის შედეგები (15-16 ოქტომბერი)**

1—1, 2—2, 3—1, 4—1, 5—1, 6—2, 7—X, 8—1, 9—X, 10—1, 11—2, 12—2, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. მეცამეტე წყვილის შედეგი განისაზღვრა წილისყრით.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე**


## „სპორტპროგნოზი"

**ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირებში მონაწილე გუნდების თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა (9 ნოემბერი)**

**ჩემპიონთა თასი, მერვედფინალი, საპასუხო მატჩები**

1. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „სტიაუა" (ბუქარესტი, რუმინეთი)
2. „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „მილანი" (იტალია)
3. „პორტო" (პორტუგალია) — „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია)
4. „მონაკო" — „ბრიუგე" (ბელგია)

**თასების მფლობელთა თასი, მერვედფინალი, საპასუხო მატჩები**

5. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „როდა" (ჰოლანდია)
6. „ანდერლეჰტი" (ბელგია) — „მეჰელენი" (ბელგია)
7. „დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია)
8. „ლეხი" (პოლონეთი) — „ბარსელონა" (ესპანეთი)

**უეფა-ს თასი, მეთექვსმეტედფინალი, საპასუხო მატჩები**

9. „ვიქტორია" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „დინამო" (მინსკი)
10. „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) — „კიოლნი" (გფრ)
11. „ატლეტიკო" (ბილბაო, ესპანეთი) — „იუვენტუსი" (იტალია)
12. „ინტერი" (იტალია) — „მალმიო" (შვეცია)
13. „ბენფიკა" (პორტუგალია) — „ლიეჟი" (ბელგია)

**შენიშვნა:** მხედველობაში მიიღება მხოლოდ ძირითად დროში ნაჩვენები შედეგი.

ბილეთის ტირაჟის საჩვენებელ უჯრედში უნდა ჩაიწეროს ასო „K". სპეციალური ტირაჟის ბილეთების მიღება დაიწყება 20 ოქტომბერს და შეწყდება „სპორტპროგნოზის" 45-ე ტირაჟის ბილეთების მიღებასთან ერთად. ბილეთების მიღების უკანასკნელი ვადები მითითებული იქნება „სპორტპროგნოზის" ბილეთების ყველა მიმღებ პუნქტში და „სპორტლოტოს" ყუთებზე.

სპეციალური ტირაჟის შედეგები შეჯამდება 1988 წლის 18 ნოემბერს და გამოქვეყნდება პრესაში.

**საქსპორტლოტო.**



ლელო

**ჟურნალ-გაზეთებზე 1989 წლისთვის ხელმოწერის დამთავრებამდე დიდი დრო აღარ დარჩა**

Советский спорт

გაზეთები „ლელო" და „სოვეტსკი სპორტი" თქვენი ერთგული მეგზურია სპორტულ სამყაროში. ამ გამოცემების საშუალებით თქვენ სისტემატურად და ოპერატიულად გაეცნობით არა მარტო ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო სპორტის ახალ ამბებს, არამედ შესაძლებლობა მოგეცემათ გაეცნოთ მასობრივი სპორტისა და ფიზკულტურის საკითხებს, მოგაწვდით მეთოდურ წერილებს და რეკომენდაციებს.

„ლელო" ახლა აბიტურიენტთა თანამგზავრიც გახდა. ჩვენს გაზეთში იბეჭდება ინფორმაციები და რჩევა-დარიგებები იმის შესახებ თუ როგორ მოემზადონ ახალგაზრდები ფიზკულტურაში ჩათვლების ჩასაბარებლად უმაღლეს სასწავლებელში შესვლის წინ.

გაზეთებზე „ლელოზე" და „სოვეტსკი სპორტზე" ხელმოწერები შეუზღუდავია. თუ სადმე შეფერხებას წააწყდებით, გთხოვთ, გვაცნობოთ დაუყოვნებლივ.

იჩქარეთ, ჟურნალ-გაზეთებზე 1989 წლისათვის ხელმოწერის დამთავრებამდე დიდი დრო აღარ რჩება.



**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8/9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10897